თბილისის “დინამო” - მერვედფინალში

სოჭი. ცენტრალური სტადიონი. 19 მარტი.

“კრილია სოვეტოვი” (კუიბიშევი) - “თბილისის” (დინამო) - 1:2 (1:0).

“კრილია სოვეტოვი”: ბლოხინი, კობილსკოვი, სახაროვი, პლატონოვი, მარტინოვი, პანფილოვი, კორაბლიოვი, ბლინკოვი, კუპრიანოვი, კაზაკოვი, არიაპოვი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი (მაჩაიძე), კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (გავაშელი).

მსაჯი: ვ. რუდნევი (მოსკოვი).

განმეორებითი მატჩი თასზე კუიბიშეველ და თბილისელ ფეხბურთელთა შორის ნაწვიმარ მინდორზე ჩატარდა. შეხვედრის დასაწყისი აღინიშნა დინამოელთა მძლავრი იერიშებით. “კრილია სოვეტოვის” კარი რამდენიმეჯერ აშკარა ხიფათის წინაშე იდგა, მაგრამ ჯერ კუტივაძის დარტყმა ძელმა მოიგერია, შემდეგ კი მეკარემ ძლივს მიუსწრო კარისკენ მგორავ ბურთს.

ტაიმის დასასრულს მდგომარეობა გათანაბრდა, მალე კი კუიბიშეველებს ბურთის გატანის მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნათ. ამ მომენტს “დინამო” გადაურჩა, მაგრამ 36-ე წუთზე მარჯვენა მხრიდან მოწოდებულ კუთხურ ბურთზე ურუშაძე არ გამოვიდა და საშუალება მისცა არიაპოვს თავით გაეტანა ბურთი.

მეორე ტაიმის დასაწყისი ძალიან ჰგავდა თბილისის მატჩს, როცა დინამოელები მთელი გუნდით უტევდნენ მეტოქეს, მთელი ტაიმი მის საჯარიმო მოედანზე გაატარეს, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. ბოლოს, 68-ე წუთზე, კუტივაძის მიერ საჯარიმო დარტყმიდან მოწოდებულ ბურთს კარგად შეურჩია ადგილი გ. ნოდიამ და საპასუხო გოლიც გაიტანა.

თბილისელთა იერიშები არ შენელებულა და როცა მათი ერთ-ერთი შეტევისას მცველებმა კარის წინ მოცელეს გავაშელი, ვ. რუდნევმა 11-მეტრიანი დანიშნა. მეტრეველმა ზუსტად დაარტყა, ეს მოხდა 82-ე წუთზე.

ბოლო წუთებზე ორივე გუნდი შეურიგდა შექმნილ მდგომარეობას: დინამოელები - გამარჯვებას, კუიბიშეველები - წაგებას.

“ლელო”, 20 მარტი, 1971 წ.